

“თუ შეცდომები შეგნებულად არ დაუშვეს, კომერციული ბანკები არ უნდა გაკოტრდნენ”

გაზეთი “ყველა სიახლე” – 8-14 იანვარი, № 1, 2009

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორ ლადო პაპავა გასულ წელს ქვეყანაში მომხდარ მოვლენებს ანალიზებს:

– ბატონო ლადო, 2008 წელი უკვე ისტორიის საკუთრება გახდა. ურიგო არ იქნება, თვალი გადავაგვლოთ და შევაფასოთ, რა მოუტანა საქართველოს ეკონომიკას გასულმა წელიწადმა, რით იყო ის მნიშვნელოვანი?

– 2008 წელი იმდენად დახუნძლული იყო ფაქტებითა და მოვლენებით, რომ ხშირად ამ მოვლენების გრადაციაც კი რთულია. რა თქმა უნდა, მე სიტუაციას ვაფასებ, როგორც ეკონომისტი, მაგრამ ვერ გავექცევი საერთო სურათის დახატვას, რადგან საერთო სიტუაციიდან გამომდინარე, იქმნება შემდეგ გარკვეული ეკონომიკური რეალობები. ჩემი აზრით, ყველაზე მთავარი, მაინც იყო რუსეთსა და საქართველოს შორის ომი, რომელმაც დადი დაასვა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას და ბევრი რამ შეცვალა საქართველოსთვის არასასიკეთოდ. ეს იყო წაგებული ომი მისგან გამომდინარე უარყოფითი შედეგებით. ასევე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ის, რომ 2008 წელს შედგა ორი არჩევნები – საპრეზიდენტო და საპარლამენტო, რომლებმაც თავისი გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოზე აისახა გლობალური ფინანსური კრიზისი, რომელიც უკვე გადაიზარდა გლობალურ ეკონომიკურ კრიზისში, საქართველო კი, როგორც მსოფლიო ეკონომიკის ნაწილი, ამ მოვლენის გავლენის სფეროში მოექცა. მე აღარ ვლაპარაკობ ისეთ მოვლენებზე, როგორცაა პარლამენტის მიერ დაშვებული შეცდომები საკანონმდებლო საქმიანობაში, როგორც იყო ეროვნული ბანკის, როგორც ინსტიტუტის დაშლა-დაკნინება, ან თუნდაც ლარირს ნახტომისებური გაუფასურება 2008 წლის 7 ნოემბერს, რითაც საკმაოდ სერიოზული დარტყმა მიაყენეს ქვეყნის ეკონომიკას. ასე რომ, მთელი ფეიერვერკია მოვლენებისა. შევეცადე, გრადაცია მომეხდინა,

ეს გრადაცია გარკვეული პირობითობით ხასიათდება, თუმცა ყველაზე მთავარი მაინც ომი და ამ ომით გამოწვეული ეკონომიკური შედეგებია.

– როგორ ფიქრობთ, ეს იყო წინსვლის, თუ უკანდახევის წელიწადი?

– გააჩნია, რას ავიღებთ კრიტერიუმად. თუ ეს კრიტერიუმი იქნება საქართველოს მთლიანობა, ან ეკონომიკური კეთილდღეობა, აშკარად უკან ვართ. თუ კრიტერიუმად ავიღებთ ქვეყანაში სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს არსებობას, ამ თვალსაზრისითაც უკან დავიხიეთ. სხვათა შორის, ამას ხელისუფლებაც აღიარებს, როცა ამბობს, რომ კრიზისი გარდაუვალია და 2009 წელი მძიმე იქნებაო საქართველოსთვის. პრეზიდენტიც ხშირად უსვამს ხაზს შექმნილ მდგომარეობას და აცხადებს, რომ ყველაფრის თავი და თავი გლობალური ეკონომიკური კრიზისიაო. რა თქმა უნდა, ეს სიმართლეა, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივი სიმართლე. სინამდვილეში ქვეყანას დაუგროვდა როგორც 2008 წელს, ასევე წინა წლების განმავლობაში დაშვებული შეცდომები, რომლებმაც თავისი ეფექტი გვიჩვენა 2008 წელს. ასე რომ, 2008 წელს უკან წავედით მთელი რიგი მაჩვენებლებით. ეს იყო უკანდახევის წელი ქვეყნის ეკონომიკისთვის.

– საქართველოში უამრავი ადამიანია დაინტერესებული საბანკო სექტორის მდგომარეობით. ბანკებიდან გამოუშვეს ასობით თანამშრომელი, რომლებიც უმუშევართა არმიას შეუერთდნენ. ხომ არ არის მოსალოდნელი ბანკების გაკოტრება და დახურვა ახლო მომავალში?

– ბანკების გაკოტრების პრობლემა რეალურად დადგა დღის წესრიგში, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ თუ არ იქნა რაიმე შეგნებულად დაშვებული შეცდომა, კომერციული ბანკები საქართველოში არ უნდა გაკოტრდნენ. ობიექტურად ამის საფუძველი არ არსებობს და გეტყვით, რატომ: ჯერ ერთი, ეროვნული ბანკი ეხმარება ყველა ბანკს – რეფინანსირების ოპერაციები განახლდა, საპროცენტო განაკვეთი კიდევ უფრო შემცირდა, შემცირებულია აუცილებელი რეზერვების ნორმაც. ასე, რომ საბანკო კრიზისის თავიდან აცილების კუთხით ეროვნული ბანკის საქმიანობა სწორია. ამას ემატება უცხოური დახმარებები, რომლებსაც მიიღებს არა მარტო მთავრობა, არამედ – საბანკო სექტორიც. ეს იქნება დამატებითი ფინანსური რესურსი საიმისოდ, რომ ბანკებმა შეძლონ არსებობა და ფუნქციონირება. მართალია, საბანკო კრიზისის საფრთხე არსებობს, მაგრამ ამ საფრთხის თავიდან აცილება შეიძლება ზომიერი და გონივრული ნაბიჯებით. შეცდომების დაშვება ამ სფეროში დაუშვებელია, რადგან საბანკო სექტორის ნგრევით ყველაფერი დაგვენგრევა!

რაც შეეხება, თანამშრომლების გაშვებას, ეს სწორედ გაკოტრების თავიდან აცილების მიზნით მოხდა. კომერციული ბანკების ფუნქციები ხელოვნურად იყო გაბერილი. მათ შეზღუდეს საქმიანობის სფერო და თანამშრომლების შემცირებაც აუცილებელი გახდა. სხვაგვარად, ეს ბანკები გაკოტრდებოდნენ.

– რა ბედი ელის სამშენებლო ბიზნესს საქართველოში?

– სამშენებლო სექტორი უფრო მძიმე მდგომარეობაშია. ამ ბიზნესის წარმომადგენლებს სჭირდებათ არჩეული სტრატეგიისა და ტაქტიკის შეცვლა – პირველ რიგში, რეალურ ფასწარმოქმნაზე გადასვლა. მათ უნდა შეწყვიტონ „ჰაერით ვაჭრობა“ და „პირამიდების“ აგება. ამ საკითხის ირგვლივ ბევრი მისაუბრია თქვენი გაზეთის ფურცლებიდანაც და ბევრს აღარ განვაგრძობ. ვიტყვი, მხოლოდ ერთს – თუ სახელმწიფო დაიწყებს სამშენებლო ბიზნესის უშუალო დახმარებას, ეს იქნება გამოუსწორებელი შეცდომა. კომერციულ ბანკს სჭირდება დახმარება სახელმწიფოსაგან, სამშენებლო ბიზნესმა კი თვითონ უნდა მიხედოს თავის თავს. არ არის გამორიცხული, რომ რამდენიმე სამშენებლო კომპანია გაერთიანდეს. გაკოტრებაშიც ვერანაირ საფრთხეს ვერ ვხედავ. თუ მენეჯმენტი არ ვარგა, ის უნდა შეიცვალოს და ასეთ შემთხვევაში, გაკოტრების მექანიზმი ერთ-ერთი საუკეთესოა. აბა რა ეგონათ, ძვირფას ოფისებს რომ იშენებდნენ, პირამიდებს აგებდნენ და ჰაერით ვაჭრობდნენ? კოკა წყალს ყოველთვის არ მოიტანს. ამ ბიზნესის წარმომადგენლებმა უფრო მეტი სიფრთხილე და გონიერება უნდა გამოიჩინონ, რათა თავი გადაირჩინონ და არც თავიანთ კლიენტებს გაუცრუონ იმედი.

– ბატონო ლადო, შობა-ახალი წლის დღეებია. როგორ მიულოცავდით და რას უსურვებდით მშობელ ხალხს, ქვეყანას?

– მინდა ვისარგებლო და შობის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცო გაზეთის მკითხველებს, და სრულიად საქართველოს. ვუსურვო ბედნიერი ახალი წელი. ჩვენი გამარჯვებისა და გახარების წელი ყოფილიყოს! როგორც დიდი ილია იტყოდა, – აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია! – ამაზე უკეთესს ვერაფერს გეტყვით.

ხათუნა ჩიგოგიძე